27 იანვარი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი

№ 17






,,მუშათა კითხვა'' თფილისის ქალაქის გამგეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ი.

(სურათი ახლო-წარსულიდან)

...ჩუ! თოხარიკი, ცხენის ფეხის ხმა
ამ უკუნეთში ნეტა ვინ არის?
ხმა გაძლიერდა და გზა ტკეცილზე
გამოჩნდა რაზმი, ცხენოსან ჯარის.
,,ეგზეკუცია''...და ამ სიტყვაზე
გულს გადაევლო მწარე სამსალა,
თვალ წინ დამიდგა თვისი სიტიტვლით
აწმყო ცხოვრების შავბნელი ძალა ..
აი ჩვენს ზევით დღეს ყრილობაზე
სოფელი იყო გამოწვეული:
მას უნდა ეზლო რაღაც ჯარიმა,
(რასაც ამ ჟამათ ჩვენ ვართ ჩვეული;)
ათიათასსა ამბობდენ მანათს,
ათი დღის ჰქონდათ ამასთან ვადა,
ეს მეხუთეჯერ ახდევინებენ
გადგა სოფელი, ხალხი გამწარდა.
გავიდა ვადა და უფროსიდან
მოვიდა ცხელი მოწერილობა
,,ხვალ მოვდივარო ეგზეკუციით,
დამხვდესო სოფლის სრული ყრილობა''.
და დღეს ყრილობა უკვე მზათ იყო..
შემდეგ რა მოხდა—არ შემიტყვია,
მაგრამ ეჰ, კარგი რა მოხდებოდა!
ხალხს აიკლებდენ რაღა ეჭვია!
დაბრუნებულან კიდეც, მღერიან,
მოაქანებენ ბედაურებსა,
და, ვით პირუტყვებს, წინ მოირეკენ
ქვევითათ ტყვეებს უბედურებსა.
შესწყდა სიმღერა და ერთ წამს არე
თითქო მოიცვა ერთგვარ დუმილმა,
მარა სიჩუმე კვლავ დაარღვია
მწვავე მათრახის მძიმე შხუილმა.
ამასთან ერთად შესძრა ჰაერიც
გულის გამპობმა ღრიალმა მწარემ
და ხმა ტანჯული ადამიანის
გულში ჩაიკლა მწუხარე მხარემ...

**ნ. ზომლეთელი.**



## გურული სცენა.

რეაქცია მძვინვარებს, სახლები ,,დასტრახულებსავით'' იწვის, ხან ერთი სოფელი გადანათდება, ხან მეორე. სასოფლო კანცელარიაზე ყრილობაა (გუშინდელი ,,კრების'' მაგიერ). მამასახლისი შენიშნავს ერთ ,,მორეკლამო'' თმაგრძელ ახალგაზდას და ხმა მაღლა უძახის.

— დომენტი, დომენტი! მოი ბიძია აგერ, რაა ბიძია მაგი რომ გაგიშვია მაი ერთი ცხოველის აჯამეთი (ვითომ დიდი ტყე) მაი გგონია შენ სოციალისტობა, ცდები ბიძია, თმაის გაშობა რომ სოციალისტობა იყოს ჩვენი ხუცესი მარქსი იქნებოდა, გეიხუჭე ძამია, გეიხუჭე, დაგინახავს ვინცხა ზეიზერ აყროლებული ფშიონი, ეგონები დასტურ სოციალისტი, სოციალისტებს ქე მოჯაყავ, ამუა ყაზახები, შენ ქე გაგპუტვენ და სოფელს ქე ამუადანდარებენ, რეიზა შობი ამფერ საქმეს, თმას რომ ჭკუა ქონდეს მე კი არ ვიქნებოდი მამასახლისათ ჩემი ცოლი იქნებოდა.

**პიტნა.**

---

## ახალი ამბები.

### ახალი კოლეგია.

მკითხველთა ჩვენთა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეიდან გაზეთ ნიშადურში ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ: თავ. რაფიელ ერისთავი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, გრიშა აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, ნ. ხიზანაშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექ. ეფისკოპოსი, გრიგოლ ეფისკოპოსი; **რიშ-ბაბა** და აკაკი წერეთელი. რისთვისაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაზეთი წარმარტების გზაზე დადგება.

### გამოძიება.

მიუხედავათ სასტიკი გამოძიებისა ჯერ ვერ გაიგეს ვის ეკუთვნის გაზეთ (უკაცრავათ გაზეთებთან) „ცეცხლში“ ეშმაკის დახრჩობის ინიციატივა. ბ-ნი სალუქვაძე ამბობს: ,,მე არ დამიხრჩვიაო,'' ბ-ნი ,,ჭალარა'' აცხადებს ,,ეკალი შეცდომით ეწერა, მე არაფერ შუაში ვარო''. დარჩა მხოლოდღა ორი საყურადღებო მოწმე ბ-ნნი მიმინო და კრიჭა. რას იტყვიან ფიც ქვეშ ეს პირები შემდეგ გავიგებთ. დღეს კი ,,ეშმაკის ჯოჯოხეთში დახრჩობა'' საიდუმლოებით არის მოცული.''

### ,,ც ი ს ნ ა მ ი''

როგორც გაზეთებში სწერენ ევ. დვალის მიერ გამოცემულ ორგანოს ,,ცის ნამს'' მხოლოდ ექვსასიოდე მანეთი უზარალია. ეს ნაღდ ფულათ. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე მის მიერ დაარსებული ,,ყიზილბაშების'' რაზმი დაკმაყოფილებას თხოულობს თითო თორნის პურით, რაზედაც მეპურე რაჭველები კატეგორიულ უარს აცხადებენ.

### შეცთომა.

სამოსამართლო უწყებას დაავიწყდა, რომ თფილისში სამხედრო წესები არის და ,,გურიის'' საქმე საჯაროთ დანიშნა, მაგრამ გენერ. გუბერნატორმა დროზე დაუქნია თითი და კარები ისევ დახურეს. ერთი კაკალის გაგდებინებაც კარგია.



### მესტვირული.

(მიერთვას მექორეთა უხუცესს გუნიას).

გმირები გამინაწყენდენ
ქებულნი, პატივცემულნი,
მათრახის კუდით და არა
ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი.
ზოგი უხმოთა მიბღვერის
შხამი აქვს დაგუბებული,
ზოგი ისეთიც აღმოჩნდა,
იმდენათ გადარეული,
რომ ლექსსაც ჩხამავს, უნიჭო
მრავალჯერ გახუნებული..
და ან კი რა ქნას, როს ეწვის,
ზურგი აქვს აცხუნებული.

მე მაინც ვიტყვი სათქმელსა,
დავკრავ და დავაგუგუნებ,
რიშ ბაბას განზე გავაგდებ,
გუნიას მივუღიღინებ:
ჩვენო ვალიკო, ქებულო,
ნიშადურ ამოცხებულო,
არტისტო ნიჭით კლებულო,
სცენის ბოლოზე გდებულო,
და ,,დრამატურგო'' უებრო,
ნაქებო, არა გმობილო,
**მედიატორულ სამართალს**
**რათ გაექეცი ძმობილო?..**
როცა საბუთი მოგთხოვეს,
საბუთი შენი ქორების,
დადუმდი მაშინ-ბატონი
„ნიშადურელი" მონების.
კითხვა კვლავ გაგიმეორეს,
აღარ გაკმარეს დუმილი,
არ შეიწყნარეს, ძმობილო,
მაგ შენი გულის წუხილი.
და შენც შესძახე უტიფრათ:
საბუთად ის არ კმარისო,
რომ, ბატონებო, ჩემს გარდა,
სხვებიც მთქმელია ამისო?!..
და რა შეატყვე, ძამია,
რჩებოდი გამტყუნებული,
მიბრძანდებოდი შინისკენ
ნიშადურ ამოცხებული,
მოიმიზეზა მცირე რამ
გმირმა ქორებში ჩაფლულმა
და შენთან ერთად მოკურცხლა
შენმა უებრო მსაჯულმა.
გუნიავ, ჩვენო გუნიავ,
ქორების უხვად მცხობელო,
საქვეყნოთ თავი მოიჭერ
სხვის დამცირების მდომელო...
ტყუილს რომ მოკლე ფეხი აქვს,
ნუ თუ ეს აღარ იცოდი,
რათ ვერ იფიქრე—მოლექსეც
ვერ გიშველიდა იროდი,
ვერცა ილიკო, ვერც ნინო,
ვერცა „ისარი" ქებული,
დამირჩით ყველა საცინლათ
ნიშადურ ამოცხებული...
და ამის შემდეგ კვლავ ბედავ
ქორის გუდების ბერვასა,
კვალათ განაგრძობ უტიფრათ
სხვის პიროვნების თელვასა,
ვალიკო, ჩვენო ვალიკო,
ქორის გუდათა ქცეულო,

არტისტო ნიჭით კლებულო,
სცენის ბოლოზე გდებულო
და „დრამატურლო“ უებრო,
ქებულო, არა გმობილო,
**მედიატორულ სამართალს**
**რათ გაექეცი ძმობილო?**.

კენტ.

---

## „ფაროსნები“

ძნიადი საქმე დავიწყე
ღმერთო მიმართე ხელია
ქუთათურ ფედერალისტებს
ზურგი აქვთ ასაწველია
ზოგს კუდი უნდა გადავკრა
ზოგს ჩავუსველო ყელია;
,,სპერმაკუდინის‘‘ წვეთები
თუ რომ არ შეშოშელია.

ფედერაციის გმირებსა
ეს ჩვეულებათ ჰქონია,
ბრძოლის დროს ხერხი ყოველი
მოსახმარელი გონია
მაგრამ დღევანდელ ხრიკებთან
ძველი არც მონაგონია
გინება ცალი ამისი
,,**ქარიშხალს**‘‘ გამიგონია.

დღევანდელ მათსა ერიშსა
ძველი აქვს გულის ძრახვანი,
,,**შინაურ მტერთა**‘‘ შემუსვრა
აი ოცნების საგანი.
და პამპულობას ეწევა
კვლავ თვითეული მათგანი
ზოგი აწ წელთა ნაჭარბი
ზოგიც ახალი ბატკანი.

ილიას მოკვლამ შემუსრა
იმათი ჭკუის ძალანი
უძლური სიბრაზისაგან
ყალხზე უდგებათ ბალანი.
ადუღებულსა დომხალსა
ვერ უტევს თავის ქალანი
,,ჟეშტის‘‘ ფარები აისხეს
გაშალეს დროშა-ალანი.

მოდიან ,,მძიმე‘‘ ნაბიჯით,
ლანძღვით და ნაფურთხებითა,
საჯაოხელის ხელ-დასმით,
მისივე დაკურთხებითა;
ყურები გამოგვიყრუეს
თავისი თავის ქებითა
იწვიან ბრძოლის ,,ხალისით‘‘
და ,,მტერთან‘‘ შეტაკებითა.

წინა მიუძღვის ,,ფაროსნებს‘‘
გიორგი შავი ქვიანი
უპირველესი ,,ქართველი‘‘
მოხუცი, ქერა-თმიანი
ფედერაციის ბელადი
მქუხარე რეჩებიანი
საკუთარ კუჭის საქმეში
უხვი და ბარაქიანი.

ვერ მოსთქვამს ენა უბრალო
ამა გიორგის ქებასა,
ფედერალისტათ თუ გიცნო
აღარ მოგაკლებს შვებასა,
აგაცდენს ყოველ სიავეს
ყოველგარ გაჭირვებასა
და ანგელოზათ წარგადგენს
შავი ქვის მრეწველთ კრებასა.

მაგრამ თუ შედმა გიმუხთლა
არ დარჩი მისი რწმენისა
მასავით მტკიცე“ დამცველი
ჩვენი ,,სამშობლო ენისა‘‘,
მოდარაჯე და მფარველი
მამულის ზღუდე ბჭენისა
მისგან ნურაფერს მოელი
თვინიერ გარნა წყენისა.

,,ერთობამ‘‘ დასცა ბაზარი
შავი ქვის გმირის ქებისა
კეთილ-დღეობის სიზმარი
დღეს ავათ აუხდებისა
,,საფარო‘‘ მეთაურები
უფერულ გაუხდებისა
დეპუტატობის ზრახვანი
ვაგლახათ წაუხდებისა.

,,აზნაურობა უყვარდა
გვერდზე დახურვა ქუდისა‘‘
კრებებზე ორატორობა
მუდამ ატეხა ჩხუბისა
იმედი ჰქონდა მოყმეთა
შვილდ-ისარ-კაპარჭ-შუბისა
ტარიელ მკლავაძეების
ქუთათურ ბულვარ კლუბისა

თუ საბოდიშოთ არ ვამხდით,
არცა დამიწყებთ გმობასა,
აწ გავაჩუმებ ქამანჩას
მესტვირულ ლექსთა წყობისა
მათრახით დავაჯილდოვებ
გიორგის ვაჟკაცობასა
აღვუკვეთ კვალად უმსგავსო
მეთაურების ცხობასა.

სხვაცა მყავს შესამკობელი
ამა ჯგუფის და ჯიშისა,
(ქარაფშუტები მათ შორის
უმრავლესია ქვიშისა;)
ზოგი ქალაქსა განაგებს
ზოგი სკოლებში გვიზისა
ამ ბოლო ხანში უცილოდ
მისამგზავსები გიჟისა.

ეშმაკი.



### ამონაკვნესი.

ნიავო! წყნარათ დაფრინავ,
სითაც გსურს მიეშურები,
ხან ვარდს ეხვევი ყელზედა,
ხან ბუჩქებს ესაუბრები;
წინ ვერრა გადაგიდგება,
ყველაფერს თავზე ევლები...
ახ, ნეტავი შენ, ფრთამარდო,
თავისუფლებით რომ ტკბები!

—

ნიავო! მეც მსურს შენსავით
გავფრინდე. გავინავარდო.
გულში ჩავეკრა ჩემს ყვავილს,
ვნახო წალკოტი სავარდო.
მაგრამ, ეჰ, ძალა ბოროტი
წინ მელობება წყეული,
არ მიშვებს, არა, სატრფოსკენ
და მწარეთ მიკვნესს მე გული!

**ვ. ჩახრუხაძე.**



## ორი ეშმაკი

**პირველი.** ღმერთმანი ტყვილათ დაარქვეს იმ ანარქისტების „ბატონს“ თავქარიანი მწერალი. მისი დაწერილი ,,აღსრულდა“ სავსებით ასრულდა ჩვენ ფედერალისტებსა და მასთან ერთად თითონ ბატონზედაო.

**მეორე.** მითომ რაო?

**პირველი.** როგორ თუ რაო?! ეს სამედიატორო სასამართლო არ კმარა იმის საბუთად, რომ ჩვენი „საქართველოს მხსნელნი“ არა თუ ქართველობიდან არამედ ადამიანობიდანაც კი გადაგვარებულან?

**მეორე.** აგიშენდა ოჯახი ახალ ამბავს შენ მეუბნებოდე!! უუგენიოსესი ქართველი ,,დრამაქურდი‘‘, უუუნიჭიერესი ქართველი კამედიანჩიკი, უუუუგანიერესი სამშობლოს „პოვეტი“ და უუუუუპატიოსნესი „ლედახტორი“ ვალერიან „ლგუნია“ დასაბამიდან მოღვაწეობისა თვისისა უუუუუუძალლესათ განწრ..ვნილი ცილის მწამებელი და გრძნობათა პატიოსანთაგან „.ჯმნულ·ქმნილი“ გვამი იყო და ეს ბიძია, შენ ძალიან გვიან შეგიტყვია!

**პირველი** გვიან კი არ შემიტყვია, მაგრამ გვიან გამოგიტყდი. აბა მითხარი ვის დაუჯერო ან ვინ დაგიჯერებს. გუშინ ერთი გააცივა და ქვეყანა ალაპარაკდა: ვუშველოთ, შევეწიოთ, თორემ შეიძლება მზე საქართველოსი იჯმნას სამშობლოს ლაჟვარდი ციდანაო.

**მეორე** ვსწუხვარ რომ მაშინ არ გვქონდა
ჩვენი „კუდინის“ წვეთები,
თორემ ნახავდი „ჭორის ბურჯს“
რა მალე მოვაკეთებდი.

**პირველი.** არა შენ თუ ძმა ხარ ეს სამედიატორო საქმე გამაგებიე.

**მეორე** შე კურთხეულო კიდევ გასაგებათ გაქვს?!

**პირველი.** მ‥ავარი მუხლები მესმის, მაგრამ დაწვრილებით მინდა; რა, გეზარება?

**მეორე.** სულაც არა მართლაც აქ ჩახლართულია საქმე და მოდი ერთი ამოვყაროთ კაცის თავები. შენ გეხსომება ნასაკირალის ამბავი და დვაბზუის გადაწვა?

**პირველი.** მახსოვს,

**მეორე** ეს პირველი ცეცხლი იყო ჩვენს ქვეყანაში. დასწვეს სულ ასიოდე მოსახლე. ამბავი ესე მოხდა „თავისუფლების“ ხანაში და ძლიერაც გახმაურდა. ამ ამბით აღელვებულმა საზოგადოებამ იწყო შემოწირულებათა შეგროვება „დამწვარ გურულებისათვის“. თუ გახსოვს ვიღაცა ქალი მთაწმინდაში ძველ შარვლებსაც კი აგროვებდა აღნიშნული მიზნისთვის.

**პირველი.** მახსოვს, მახსოვს. ბევრი ვიცინე გაზეთებში რომ წავიკითხე მაგის განცხადება.

**მეორე.** მაშ ეგრე. სოფ. დვაბზუ დასწვეს. აქედან დაკანონდა თითქო ყოველგვარი შემოწირულება უთუოდ გურულებისათვის და კერძოთ დვაბზუელებისათვის უნდა იყოსო. ნასაკირალის შემდეგ არ გასულა სულ ხუთიოდე თვე, რომ მთელი გურია აანთეს; განა მარტო გურია? ასეთივე დღე დაადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშურს, ბელაგორს, ყვირილას, ქუთაისს, სენაკს, მრავალ სხვა ადგილებს დაარბიეს აგრეთვე ქართლის სოფლებიც.

**პირველი.** ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ სამედიატორო სამართალთან რა კავშირი აქვს:

**მეორე.** მოითმინე, მოითმინე. ,,აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია:" მაგასაც მოგახსენებ. ამგვარათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში არა თუ მარტო გურია, მით უმეტეს სოფ. დვაბზუ, არამედ ურიცხვი სხვა დაბა-ქალაქები და კერძო ოჯახებიც დაზარალდენ. განა ცოტა ვაჟკაცი დაეცა განგმირული? თუ გახსოვს მაშინ გურულები ამბობდენ: კიდევ კარგია ადამიანის სისხლის რომ არ ღვრიან. სახლს ქე ააშენებს კაციო. ამგვარათ მრავალი სხვაც დაზარალდა და აწიოკდა იმ შავ დღეებში, მაგრამ შეგროვილ ფულებისკენ უმთავრესათ გურულები იწვდიდენ ხელებს.

**პირველი.** ღირსიც იყვენ ძმაო დახმარებისა.

**მეორე.** ვინ ამბობ ღირსი არ იყვენო, მაგრამ სხვაც უნდა გაგახსენდეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს მადა დვაბზუელებს განუღვიძა ,,გურულთა განმანათლებელმა" კნეინა ნინო ნაკაშიძისამ.

**პირველი.** წარმოიდგინე შენ, რომ საქართველოს დედებში მართლაც ბევრი ურევია ასეთი განმანათლებელი.

**მეორე.** ყველა უცხო წიგნებში ასე სწერენ: ,,საქართველო ქალებით არის შესანიშნავიო:" ჰო და ამ ნინო განმანათლებელმა შეიტყო, რომ ხარბინიდან გამოაგზავნეს მოგზაურის რედაქციაში 2006 მანეთი ,,ბრძოლაში მოკლულთა ოჯახების დასახმარებლათ" და მყისვე აცუნცულდა სოფ. დვაბზუში. იქ მოაგროვა სამი-ოთხი ჯვრიანი გლეხი და მოავლინა თფილისსა და ,,ჩვენი ფულები გაქვთ აქა და მოგვეცითო." კნეინა ნინოს არ ვიცით რა ჰქონდა მიზნათ, მაგრამ მისი მოქმედებიდან დაასკვნიდი: პოლიტიკური მოსაზრება უფრო ამოქმედებს ვიდრე კაცთ-მოყვარეობაო.

**პირველი.** Да-а-а... ის ხომ უმწვერვალესი ფედერალისტკაა და მოგეხსენებათ ფედერალისტების ავტორიტეტი გურიაში ქანდრაკულ მდგომარეობაში იყო.

**მეორე.** აი სწორეთ ამის გამოკეთება შევსწამეთ ჩვენს განმანათლებელს, ვინაიდან სხვაფრივ ვერ აგვეხსნა მის მიერ ,,დეპუტატების" ამგვარი ხშირი მოვლინება. თფილის ქალაქში იმ ფულების მისაღებათ, რომელიც დვაბზუელებისათვის არც მოუგროვებიათ და არც გამოუგზავნიათ. ნინო განმანათლებელი კი აგზავნიდა და აგზავნიდა ,,დეპუტაციებს" დაფერილი მენდლებით.

**პირველი.** მერე ვერ უთხრეს: ,,ფული თქვენთვის არ არის დანიშნულიო"? მორჩა და გათავდა!

**მეორე.** როგორ ხამივით ლაპარაკობ? უთხრეს და ერთჯერ უთხრეს თუ? მიმღებმა ცალკე უთხრა, გამომგზავნელმა ცალკე უთხრა, მომგროვებელ-შემომწირველებმა ცალკე უთხრეს, მაგრამ დეპუტაციებს მაინც გზავნიდა და გზავნიდა ჩვენი განმანათლებელი კნეინა.

**პირველი.** ახირებულია შენმა მზემ!

**მეორე.** მოიცა, მოიცა. ახირებული ამ კნეინის მოქმედება იმდენად არიყო, რამდენათაც „ნიშადურიანი რედაქტორის მართლ-მოყვარეობა." რომლესაც თითქმის „კაპრიზნაია" კნეინასათვისაც კი მოუხერხებელი გახდა ახალ-ახალი „დეპუტაციების" შედგენა, აღნიშნული გოტენტონტი „იძულებული შეიქნა სიმართლის გამოაშკარავებისათვის მიემართა სატირიული ჟამფლეტებისათვის, ვითარცა უკიდურესი საშვალებისათვის...

**პირველი.** მართლაც რომ გოტენტოტი ყოფილა, რომ რა იძულება ადგა თავისი ისედაც შერცხვენილი თავი ერთხელ კიდევ არ გაეკრა სამარცხვინო ბოძზე?

**მეორე.** იცი რა გითხრა? იძულება არავითარი გარდა საკუთარი უგნურებისა, მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ, სახელდობრ ისა, რომ ეს გამოლაშქრება დამყარებული სრულსა და ნათელ ცილის-წამებაზე მიმართული ფ. მახარაძის წინააღმდეგ მოხდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ და...და...და...

**პირველი.** თქვი რაღას აჭიანურებ, ეჭვი გებადება თითქო ეს ბინძური იერიში ფ. მახარაძის წინააღმდეგ გამოწვეული იყოს მამულიშვილური შურისძიებით?

**მეორე.** ვინ იცის? შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ უფრო გასაოცარია ,,ლგუნია" რედაქტორის „მართლ-მოყვარეობა." ის ამბობს: ,,მე ფ. მახარაძეს დრმა პატივსა ვცემ, როგორც ცნობილ მოღვაწეს, სერიოზიულ საზოგადოებრივ ძალას, მე ფიქრადაც არ მომსვლია მისი პირადათ შეურაცყოფა. მე ამ შემთხვევაში სულ სხვა მქონდა მხედველობაშიო" არა, თუ ძმა ხარ, იქნება ქვეყანაზე არა თუ რედაქტორი, არამედ ლაპარაკის მცოდნე ადამიანი, რომელიც ამოდენა სისულელეს და სიყალბეს ერთი მოქნევით იქმოდეს? ამბობს შენი შეურაცხყოფა არ მინდოდაო და ეუბნება: „მშიერი გურულების ფული შენ შეჭამე, იმით საზღვარ-გარეთ იმგზავრე და იქეიფეო."

**პირველი.** ამგვარათ ამ აფრიკელი რედაქტორის აზრით „ჭეშმარიტების" გამოსარკვევათ შეგიძლია კაცს რაც გინდა ის დასწამო!

**მეორე.** მეც სწორეთ მაგის თქმა მინდოდა. ვსთქვათ ორმა-სამმა ფედერალისტმა გამოართვა კერ-

ძო კაცს რამოდენიმე ათი ათასი მანეთი. (რასაკვირველია მაგალითისთვის ვამბობთ) ეს ფული დახარჯა და პატრონს „ატკაზი“ დაარტყა. ჩვენი ჭკუაზე გადამხტარი „სატირიკი“ რედაქტორი რომ ფედერალისტი არ იყოს „სიმართლის“ გამოსარკვევათ ადგება და გიორგი ზდანოვიჩს ან სამსონ ფირცხალავას დაუწერს: თქვენ შეჭამეთ ეს ფულებიო.

**პირველი.** ,,კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს
ავი რა საკვირველია
დიდი ხანია ,,ლგუნიამ‘
სინდისს აიღო ხელია.

**მეორე.** მე ,,ლგუნიაზე‘‘ არც კი მომდის გული, ეს მისი ჩვეულებრივი ხელობაა, მაგრამ რაიცა შეეხება ბ-ნთ პეტრე სურგულაძეს, ვახტანგ მუსხელოვს და ირაკლი გუნცაძეს, აქ ნამდვილი ,რაზაჩაროვანიე‘‘ მომივიდა. მართალია პეტრე კარგა ხანია წავიდა ხელიდან, მაგრამ...

**პირველი.** არა რაღა ,,მაგრამ‘‘ გინდა თუ ძმა ხარ? მაგრამ საეჭვო საქმეზეა საჭირო და პეტრე რომ ვალერიანის მარჯვენა ფეხი არ ყოფილიყო მედიატორეთ დაუდგებოდა?! შესახებ ვახტანგისა რასაკვირველია არავითარი საბუთი არა გვქონდა რაც მოიმოქმედა იმაზე უკეთესი რამ ექნა. იმ პირობებში და გაქლენთილების იმ წერტილამდე მისული ადამიანისათვის ძნელია გუნიას ეფიოპობაზე გადახტომა.

**მეორე.** არა, მაგათ დაანებე თავი! როგორც ხედავ, აქაც კნეინას მიზეზით ჩაიშალა საქმე. იმ კურთხეულმა ,,არა-სიმართლე‘‘*) მოახსენა სასამართლოს და როცა ამხილეს, პატივცემულმა მსაჯულებმა საბოდიშო საქმეთ მხილება გახადეს და არა წარმოთქმა ,,არა სიმართლისა‘‘.

**პირველი.** მართლაც ნამდვილი .,ფედერალისტური‘‘ მსჯელობაა მე და ჩემმა ღმერთმა. ქალბატონს ,,არა სიმართლის‘‘ თქმას არ უთვლიან დანაშაულათ, ხოლო ქალბატონის მიერ გალანძღულს ამის გამხელისათვისაც ბოდიშს სთხოვენ.

**მეორე.** ეს იმიტომ, რომ ქართველი კაცი ბუნებით რაინდია და მერმე კნიაზი კაცი! კნეინას სიცრუეც მიეტევება! ალბათ იმიტომ რომ ქალია!

**პირველი:** მაშ აიკიდა გუნიამ შერცხვენის გოდორი?

**მორე.** ესე ვითარი სამკაული მას არც არასოდეს მოუხდია მისი პატივცემული ზურგიდან. სასაცილო ძმაო ის იქნებოდა, ვალერიანის სახელოვან ორგანოს რომ სოსიკო მერკვილაძის წერილობითი ცნობა დაებეჭდა, მაგრამ ეს თუ მან არ ქნა ისევ ჩვენ ვიკისროთ ამ საარაკო და სოსიკოსაგანაც კი გასაკვირი ჭორიკანული დოკუმენტის გამათრახება.

---

*) სხვაგვარივ რომ გადავთარგმნოთ ნიშნავს „სიცრუე“ ანუ „ტყუილი“



## სადღეისო სურათები.

აღარ ვუმღერ კვალად ცისკარს,
ვერ მახარებს განთიადი
და გულს მივსებს ნაღველ მწარით
ცხოვრებისა აწმყო ცხადი.

ან რათ მინდა, ოცნების ფრთით
თუნდ ცამდის რომ ავიცურო?
უნაყოფო აზრთა ფრქვევით
დავცნე, ოფლად დავიწურო?

ამ ვარ შრომით ვის რას ვარგებ?
სჯობს რომ სხვა გზა განვიცადო:
თვით გავჩუმდე და საგნები
ვამეტყველო, ვაღაღადო...

—

აი, ხედავთ იმ ჩინოსანს,
მცველები რომ გარს არტყია?!
დღეს ცხოვრებით კმაყოფილი
შუბ-მოსილი, ამაყია.

გუშინ კი ის საცოდავათ
ბნელ სოროში იმალოდა
და ელვარე მზის სინათლის
ხილვასაც კი არ ელოდა.

მაგრამ დაჰკრა სულ სხვა სიომ:
არე მარე შეწრიალდა
და „ქვემძრომით“ მიწის პირზე
თამამათ ამოსრიალდა.

თვისი გესლი, თვისი შხამი
მან მოავლო არე-მარეს
აგი ზნე სჭირს მაგ გულით ბილწს,
გარეგნობით კი ელვარეს...

—

ნელის ბიჯით რომ მიმგზავრობს
ლაპარაკში ენა ტკბილი,
სულ ყველაფერს რომ ჩაგკითხავს
და სურს გაგიშინჯოს კბილი,

შეხვედრაზე სალამს მოგცემს,
მდაბლად ძირს დაგიკრავს თავსა,
ტკბილადვე გემშვიდობება
და არც ფიქრობ მაზე ავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იცი?! ის ამ ხერხით
საიდუმლო საქმეს ჩარხავს
და მერწმუნე, ამ საქმეში
მას ბადალიც ქვეყნად არ ჰყავს!

ის გუშინაც ორჭოფობდა,
ვინ იცოდა მისი ხრიკი!
მაგრამ ეხლა ,,სიტიტვლესთან''
გამოაჩნდა ,,კუდის რიკი''

—

მძიმე ქშენით რომ ჩაგვშორდა
ერთი-ორიც ჩაახველა,
მაგრამ იცი, ჩვენისთანებს
სისხლი ოფლად გამოსწველა!

მსახურია ,,მამმონისა'',
თანაც სწყალობს კაპიტალი
და მუშების ცარცვა-გლეჯით
შეიძინა ,,კარგი ძალი''.

გუშინ მუშას ძმას ეძახდა,
მაზე მზე ამოსდიოდა,
მაგრამ, ვიცით, რომ ის ამას
ცბიერებით სჩადიოდა.

და დღეს, როცა დრო იხელა,
,,მოკავშირის'' ძალაც ნახა,
სხვა დანარჩენ ,,ნადირებთან''
მანც გაალო მყრალი ხახა:

მოუწოდა თანამზსგავსებს,
მათ ჩაჰკიდა ხელი ძმურათ,
რომ მუშების სისხლი ოფლათ
სწოვონ, ხვრიტონ ძველებურათ...

—

იქით ხედავთ პიდჟაკოსანს
ხელში ტროსტით, ცხვირზე ,,აჩკით'',
ჩაგრულ ხალხის ინტერესზე
რომ ქადაგობს დიდის ,,ჩაჩხით''?!

გუშინ ისიც მოძრაობას
ეტრფოდა, უკმევდა გუნდრუკს,
დღეს კი ლაღი ირემივით
გან-განზე უშვრება ფუნდრუკს.

ამბობს: ,,რის ჩლავი, რის ფლავი,
რომელი მოძრაობა?
ჩვენ გვწამს მხოლოდ ეროვნება,
სხვა კი არის მასხრობა!''.

—

აგერ ხედავთ, მესაკუთრეს,
მეკუბოე-მესაფლავეს,
,,კეფალი'' რომ მოინატრა
და ფარგაც არ მიაქვავეს?!.

ეჰ, რა უნდა გამოვსთხოვოთ
ჩვენი ქვეყნის მეშავბედეს?
მათის ქებით გაზეთებმა
ყურები გამოგვიჭედეს...

ეხლა ვინ გსურთ დაგანახოთ?
,,თავი''?! ,,ზუბრი?!.. მაგრამ არა:
მათი ქება შემდეგისთვის
და დღეს, მგონი, ესეც კმარა!..

**ნ. ზომლეთელი.**

## გამოცანა.

(ლ. ნჩხუთისთვის)

თავი უგავს ქურთის მურას
ულვაშები თითო კონა
ესდეკათ რომ ვერ ივარგა
ფედერალებს მიეკონა.
რედაქციას აგენტათ ყავს
დოყლაპია მამლაყინწა
მარჯვენაით რაც გაჰყიდა
მარცხენაით გადაყლინწა
სოციალ-დემოკრატთ ლანძღვა
მუდამ პირზედ აკერია
ვით მე არ მაქვს ლალ-ზურმუხტი
არც მის თავში აფერია.
ეხლა აღარც პარტია ჰყავს
უნაყოფოთ დაფუშულა
ნალბანდობაც მიატოვა
დაყიალობს საწყლათ ტყულა.

**ხიც-ხიც**



## ბათუმის ავან-ჩავანი.

ჰავას ადამიანის აგებულობაზე დიდი გავლენა აქვს. ამას მეცნიერები გვისაბუთებენ და რა უფლება მაქვს არ დავუჯერო, მით უმეტეს რომ ეს გამოცდილებამ ცხადათ დამანახვა. მაგალითათ — ზღვის პირის ჰავას ერთი შესანიშნავი თვისება აქვს: სხვა ჰავაში მცხოვრები—სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი და მმოძრავი ადამიანი იწყებს თუ არა ცხოვრებას ამგვარ ადგილებში, ზანტდება, მოძრაობას კარგავს და მუდამ ძილის გავლენაშია. ასე რომ იმათ გამოსაფხიზლებათ, არა თუ სპერმაკუდინი, ხშირათ სპერმაწყვიდინიც ამაო საშვალებაა. სწორეთ ამით აიხსნება რომ ბათუმში ყოველგვარმა კომისიებმა, პოდკომისიებმა და კომიტეტებმა ძილს თავი ვერ აართვეს, ხოლო თუ რამე მანქანებით მოხდა სასწაული და მოკლე ხნით მაინც სანახევროთ გამოიღვიძეს, მათი ტვინის ნაყოფ-ნ[illegible]რომს, უნებლიეთ, ახალ გა-




ვლესოთ და ვლესოთ... ხმალია.

მოღვიძებული ადამიანის მოქმედების დაღი აზის. ამიტომაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, როცა ამტყუნებენ აქაურ ქალაქის ხმოსნებს, რომლებმაც დაბალ მოსამსახურეებს ჯამაგირის მომატებაზე უარი სტკიცეს. მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, აქ ხმოსნები რა შუაშია თუ თავმან მათმან, ძილისა გამო, ვერა შესძლო საქმისა კეთილ ყოფა. ვიმეორებ, აქ ბუნებაა დანაშაული, რომელმაც ბათუმის არე მარეში „კაცთა მცირეთა“, დასასჯელათ, ჰაერი დასაძინებელი ნივთიერებით შეაზავა. სამაგიეროთ აქაურ ძილს ერთი სანაქებო თვისებაცა აქვს — საამური სიზმრები იცის. როგორც ბათუმის ჰაერში მცხოვრები, ვერც თქვენი მონა და მორჩილი ავცდი ბუნების სიმკაცრის და ამ ახალი წლის დასაწყისში ერთი მაგრათ დამეძინა. მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო და მეც ისე მომივიდა: კაი ხანია თბილ ადგილს ვეძებდი თუმცა ცივი ადგილი უფრო ადვილი საშოვარია ვიდრე თბილი, მარა ძილში მაინც თბილი ადგილი ვნახე და კინაღამ ვიგდე კუდით ხელში. ვითომც ქალაქის საავადმყოფოში რაღაც თბილი ადგილი გაიხსნა და ვისთანაც ჯერ იყო, თხოვნით მივმართე. მოიღეს მოწყალება და ადგილიც აღმითქვეს, ხოლოდ ამისათვის საჭირო პირობები წერილობით მომთხოვეს. დავთანხმდი და ჩამოწერილი პირობების მუხლები ხელის მოსაწერათ წარმომიდგინეს. გადავიკითხე. მუხლი 1. მაქვს პენსია (ან ვიდრე მოველი) 2. მაქვს დიდი შემოსავლიანი მამული და სახლი. 3. მიმსახურია ისეთ დაწესებულებაში, სადაც ყოველ გვარ ჩხვანკლსა და კაკუტებს ზედმიწევნით ასწავლიან. 4. ვერ შემომაპარებენ ყალბ ქაღალდის ფულს, რადგანაც ამ გვარს ნამდვილისაგან ადვილად გავარჩევ. 5. ვარ ქართველი და მაძიებელი მეტი სიმდიდრის. 6. ტოლუმბაშათ სანაქებო ვარ. 7. ყოველ ჭამაში პირველათ სამშობლოს სადღეგრძელოს დავლევ, 8. ქართველი გალეშილიც რომ იყოს მივპატიებ, ხოლო არა ქართველი ჭირივით მეჯავრება. 9. ვკითხულობ „ნიშადურს“ და მისი თანამოაზრეც გახლავარ. 10. საქმე მძაგს და მუშაობას გავურბივარ 11. დღე და ღამეში მხოლოდ თექვსმეტი საათი მძინავს. 12. დანარჩენ დროს ამაყობაში და ცეკვაში ვატარებ.

შენიშვნა: სავალდებულოა პირველი 4 მუხლი, ხოლო დანარჩენების უქონლობით კანდიდატი არ

დაიწუნების, ვინაიდან ესენი შემდეგშიაც ადვილათ შეიძინების.

როგორც პირობიდან ჩანდა ჩემი თხოვნა უადგილო იყო, რადგანაც სათბილ-ადგილო ცენზი არ მომეძეოდა და დაღონებულმა ვთხოვე რომ მოეცათ ნება თავდები წამეყენებია. დამდვეს პატივი და ნება დამრთეს. გამოვბრუნდი, აქეთ ვეცი, იქით ვიტრიალე და როგორც იყო ამგვარი ცენზის მქონე, ვინმე გამოვძებნე და ჩემთან ჩემი საბუთიანა ადგილის მისაღებად გამოვიჭიმე. მარა თქვენს მტერს იმისთანა,—მტკიცეს თქვენი მოწონებული უარი. ამ გვარი კაცი უკვე ვიშოვეთ და ადგილიც მან იგდო ხელშიო. მეცა ელდა, შევარდი ნატყვიარსავით, იატაკზე ბრაგვანი მოვადინე და გამომეღვიძა.

**ბლიკვაძე.**



## ქართველ ქალთა დასუქების საკითხი.

### რეფერატი ექიმი ვ. წ.

(„ისარი“ 272. 274. 276.)

„ხან-გრძლივმა გამოცდილებამ დამარწმუნა რომ, ქართველი ქალები, ადრე ბერდებიან.“ რომ ერი არ გადაშენდეს-საჭიროა ჩვენი ქალები ადრე არ მოხუცდენ, მუდამ ახალ-გაზრდები იყვენ.

„ქართველი ქალი გამხდარია“—ამიტომ საჭიროა მისი გასუქება! გასუქებისათვის კი საჭიროა ბევრი ვაჭამოთ, ხოლო ჭამისთვის კი აუცილებელია დაარსდეს ქალთა გამსუქებელი ამხანაგობა.

ამ სიგამხდრის მიზეზია რომ ჩვენი ქალები ორ წელში თითო ბავშს ძლივს-ძლივობით ზრდიან, რითაც ჩვენი ერის სიმრავლე დიდათ არ მატულობს, ხოლო რომელი ერიც არ მატულობს შესამჩნევათ, ის გადაშენების გზას ადგია,

ჩვენი ქალები რომ ადრე არ ბერდებოდენ, ცხადია ერი უფრო იმრავლებდა. ჩვენი ქალები რომ გამხდრები არ იყვენ უჭმელობით—ცხადია ყოველ წელს თითო ვაჟკაცს შესძენდენ სამშობლოს. ვისაც გული შეგტკივათ სამშობლოსათვის—ეცადეთ ქალების გასუქებას. აჭამეთ ბლომათ. „ქართველი ქალისთანა თავზე ხელ-აღებული ქვეყანაზე სხვა არ მოიპოვება. ის ყველაფერს ქმარს აჭმევს, თვითონ კი მხალს და ეკალს მეტს არაფერს სჭამს. საცოდავმა არ იცის რომ ადამიანის მასაზრდოებელ მასალას შეადგენს პური და ხორცი, ხოლო დანარჩენს მნიშვნელობა აქვს, როგორც მადის მომგვრელს, პირის გასაგემრიელებელს და მადის გასაძლიერებელს.“ ეს საჭიროა დაიხსომით ვინც ქალების სუქებას უედგებით. (დაუჯერეთ ექიმის). აუხსენით ქალებს, რომ ხორცი და პური ეჭამონ. მხალს, ლობიოს, ეკალს და სხ. ნუ აჭმევთ „როგორც მადის მომგვრელს,“ თორემ ბევრ პურს და ხორც შეჭამენ. ეცადეთ მამულისშვილნო თორემ „ამის შედეგია ფიზიოლოგიური, გონებრივი და ზნეობრივი გადაშენება.“ თუ არ იჩქარეთ „ჩვენ ქვეყანას უვაგ-უორანი დაეპატრონება და ქართველის სახელიც აღიგვება პირისაგან ქვეყნისა.“

მარა უფრთხილდით პურის გამორჩევაში. „ხევსურის პური არ ვარგა. მე თვითონ მიჭამია ერთხელ და ბედი მიწყევლია. გარეთ-კახელის პურიც არა უკეთესია. უგემურია. იმერელი გლეხის მჭადიც „ხოხორა-“ც არა უკეთესია. ქართლელის—შავი, გორვალა და მიწა ნარევია.“ ხომ გესმით. უნდა აჭამოთ ფურნის თეთრი-ბუმბულა პური. (ექიმს დაავიწყდა რომ ასეთი პურის ფქვილი რუსეთიდან მოაქვთ და რუსები ხომ..... ვაი რომ მოგვწ.. .. და ერი უცბათ გაქრეს..)

მარა ჩვენი ქალები ღირს კი ამათ?! „მკითხველს ალბათ წარმოდგენილი ყავს ქართველი ქალი, როგორც ყოვლად პატიოსანი. უმწიკვლო და კეთილ შობილნი, მაგრამ არა აღარ არიან ძველი ქალები!“ (მაშ რატომ ვიტეხო თავი. თუ პატიოსანი, უმწიკვლო და კეთილ-შობილნი აღარ არიან ჩვენი ქალები, შავი ქვაი უჭამიათ მათი სუქების დარდი მაქვს“!).

„მარა ნურავინ იფიქრებს ვითომ მამაკაცები სჯობდენ **ამ მხრით** დედა-კაცებს“. (კარგი ნუგეშია). აღარ არიან ყოვლად პატიოსანი, უმწიკვლო და კეთილ-შობილნი ქალები და ამ მხრით აღარც მამა-კაცები ჩამორჩებიან ე. ი. აღარ არიან პატიოსანი, უმწიკვლო და კეთილ-შობილნი მამა-კაცები... შემეშინა ღმერთმანი*) ნუ თუ ჩვენი ერი ყველა ასეთი პირებიდან შესდგება! სჩანს მისა მორჩენა ექიმ ვ. წ. კი არა „ისარი“ დოსტაქრებსაც აღარ შეეძლება. ექიმო მართალს ამბობთ თუ იხუმრეთ?

ან კი კაი რავა დაგვემართებოდა. ინტელიგენცია არ ვარგაო. თავად აზნაურობა მტერიაო. ღმერთი აღარ წამთ და ხატი. უმცროსი და უფროსი. მუშები ყველა ცენტრალისტია. ყველა მედიდურია. ბურჟუებს თავს არ უკრავს. გლეხები შეშლილია. „დაგლახო, გადატაკდითო“ ეუბნებიან-ისინი ტაშს უკრავენ და ხარობენ. ფედერალისტებს ლაპარაკის ნებას არ აძლევენ. ავტონომიის ხსენებაზე გველ ნაკბენივით ეკარილით გარბიან. ქალებს არ

ინდობენ და ბავშვებს და აბა ღმერთი, (მისი სახელის ჭირიმე!.) კაის გვიზამდა...

და ყველა ეს იცით ვისი ბრალია? იმ შეჩვენებული და ღვთის პირისაგან განდევნილი ს. დემოკრატებს გერჩევს წელში ბატონო რაცხა დიალექტიკაო და სულ ყველაფერი გორაზე აყენდეს, ყველაფერი გაანადგურეს. „მაგათ მოსწამლეს მუშების აზრი“ და ჭკვერიც კი მაგ, წუწურებმა და სამშობლოს მოღალატეებმა. მაგათ კი რუსეთის ს. დემოკრატიამ უბრძანა ასე ჰოიქეცითო.

რუსები ხომ იცით, ბატონებო, მუდამ ჩვენი მტერი იყო და აბა ეხლა რაღა ხეირს დაგვაყრიდა .... .

ყველა ამ უბედურების მოსაშორებლად ს ჩვენი შემდეგი რეცეპტი: 1) **ქალების გასუქება.** ამისთვის კი კოოპერაციის დაარსება. პურის და ხორცის ჭამა დღეში ოთხ-ჯერ. (ფხალი არ აჭამოთ თორემ მალა გუძლიერდება) პური უთუოთ ფეთრი, მარა ფერთხილად რუსეთიდგან მოდის... 2) **გლეხებისათვის საგიჟეთის აშენება** ერთ-ჯერ. 3) **ინტელიგენციის, თავად-აზნაურობის და ბურჟუების პატივისცემით და სიყვარულით თავის ლაკვრა** დილა-საღამოობით თითოჯერ. 4) **მედიდურა მუშების შეპანღურება** ყოველ ორ საათში. 5) სუფთა სახლების აშენება ერთ-ჯერ. 6) აურთლებული ქვეშ-საგების გარეცხა-გამოცვლა-ყოველ კვირაში თითოჯერ 7) ს. დემოკრატემის მასაჟი და გვერდების ზელა, რაც შეიძლება მაგრათ, ყოველ ორ საათიქ შემდეგ. 7) რომ არ გაცივდეთ საწირთა ავტონომია ჩაიცვათ. საჭმელთათაც გამოდგება.

თუ ასე მოიქცევით მაშინ ჩვენი სამშობლო უეცრათ აყვავდება და მეც შენთან ერთად მხიარულად შემოვსძახებ:

„ჩემო კარგო ქვეყანავ“ ველარ დაგაძახებუნე,
ეს-დეკებმა თუ წაგრყვნეს, მე რომ გამოგაბრუნე...

**ციცუნია.**




**სამტრედიის რაიონი.** ძმაო ეშმაკო! საკვირველია „კუდინის“ მოქმედება. წარმოიდგინე, მამასახლის მელიტონს დალაქობის მადა აღუძრა. ამ უკანასკნელმა უკვე გადასწყვიტა თავის „პომოშნიკებს“ კბილები დააძროს, რადგანაც ჰგონია ადამიანი კბილებით ლაპარაკობს.

ბ-ნ მელიტონს და აქაურ უფროს მასწავლებელს გადაუსყვეტიათ სკოლისა და კანცელარიის შეერთება, რათა ნარდისა და კარტის თამაშზე ხელი არ შეეშალოთ. თუ ამ მხრივ საქმე კარგათ წავიდა განზრახულია ბილიარდის დადგმაც.

**ხიდისთავიდან.** (გურია) ერთი მოიცალე ძმაო ეშმაკო, ამ ჩვენი დაბისათვისაც და როცა მოგიხდეს ზედა გურიაში მოგზაურობა ხიდისთავშიაც შემოიარე. აქაურ სასადილოში უთუოდ შეხვდები შეზარხოშებულ მამასახლისსა და მწერალს. ხომ იცი ახლანდელ დროში სოფელს ათას გვარი გადასახადი აქვს და ასეთ ამღვრეულ წყალში „გამოსარჩენის“ გამოიმასქნა არც თუ ისეთი ძნელი საქმეა რომ არობელიძეს გაუჭირდეს.

უთხარი თუ ძმა ხარ, რომ აქაურ მასწავლებლებს სასჯელათ ჯამაგირის გამოიმასქნაც ეყოფა და ციმბირისაკენ გაიმასქნა რაღა საჭირო იყო თქვა. სხვაფრივ შენ იცი როგორ პატივს სცემ და როგორ გამოიმასქნამ მათ გამოიმასქნილებულ სამსახურს.

სატანა.

**იქიდანვე.** ეშმაკო! აქ ერთმა გვამმა თავის თავს „გამოსუნქისინებული“ უწოდა და ქეიფს მიეცა. ქეიფი რასაკვირველია არ არის დასაძრახი ხელობა, მაგრამ გასაკვირი ქეიფის მდებარეობაა. იკრიბებიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმაო, ეკკლესიის უკან, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ეშმაკი ვერ მოგვიდგება ეკლესიის შიშითაო*).

თუ ამ ქეიფის ნახვა მოისურვო აჰყევი წყლის პირს ზევით და პირველ შეხვედრილ ხეზე აცოცდი. იქ უთ..ოდ გაიგონებ: ,,დავლი და დავლიდა, დავლიდა!..

მიჰყევ ხმას და როცა სახლში შეხვალ იკითხე ვის უძახიან ,,გამოსუნქისინებულს''. თუ ვინმე დაბალმა კაცმა დაიწყოს აბლაკატობა ერთი უცხუნე და ჩაის ჭიქით მონაყილი ადესას მაგივრათ შენი კურთხეული ,,სპერმაკუდინი'' გადააყლაპიე.

დაბალი.

**აბაშიდან.** ეშმაკო! ახალი წელიწადი დაგვიდგა და ნუთუ ერთი აბაშელებს არ უნდა მიულოცო შენი მათრახის კუდი? ჰაი, ჰაი რომ უნდა მიულოცო, მაგრამ წეს-რიგი, თუ ძმა ხარ, ასეთი იქონიე: პირველ ყოვლისა სულიერ მამას კონსტანტინეს ამოთხვიე ზურგზე; შემდეგ ჩვენ მამასახლისის თანაშემწე ნიკოს, მაგრამ ის კი რომ ერთ ოთხ თვესყრილობას ვერ დაესწრას და სოფელმა ერთი თავისუფლათ ამოისუნთქოს; აქედან კანცელარიაში მიდი ნესტორთან და როცა საქმეს მორჩე იაგორის სახლი ჰკითხე. იაგორას ნულარ დასტოვებ გულ-ნაკლულს გამოაგდე წინ და ასტრახანამდე მიიყვანე. იქ ბათუ ნახავს მისალოცავს აღარც ის დააკლებს.

კირილეს, მარტო, წინადადება მიეცი მოღვაწეობა გაიუმჯობესოს.

აბაშელი.

**ლაილაში.** (ლეჩხუმი) ამხანაგო ეშმაკო! ნებას ვაძლევ ჩემს თავს გთხოვო ერთი ლაილაშს შეირბინო ინახულო წითელ რაზმელათ ნამყოფი პეტრე მესხაძე. დიდი ძებნა საჭირო არ არის, გაიგებს თუ არა თქვენს ასვლას წამსვე თითონ გინახულებს, მაგრამ ახლოს არ მიიკაროთ. დანახვის თანავე გადასცხე მათრახი: ხელიდან არ გაგისხლტეს (სწრაფია) თორემ თუ გაგექცა ვიატკას აქეთ არ დაგტოვებს. ქუთაისისკენ რომ გამოექანო ალპანის საზოგადოებაში სოფ. ცაგერას გაუხვიე. ინახულეთ ანეტა გრიგოლ ახვლედიანის ასული, რომელმაც გ. ჩიკვაიძეს და გ. ასათიანს ასეთი დიდი ღვაწლი დასდო. ვენაცვლები შენს გრძელ კუდიან მათრახს თუ მასაც სამსახურის შესაფერ პატივს სცემ.

ლასემელი.

**ჭინათიდან.** ჭინათი და ჭანჭათი ერთი არ გეგონოს, ძმაო ეშმაკო! ჭანჭათი იმიტომ არ არის, რომ სხვა და სხვა მღვდლები გვყავს. ზემო ჩიბათელ მოსე ჯორბენაძეს თუ არ ეწყინება ახლა მხოლოდ ესტატე ხუცესს გაგასინჯებ და ვინძლო შენ იცი, როგორ განკურნავ. სატკივარი მისი გულითადი იმაში მდგომარეობს, რომ სახლი უნდა ეკლესიის მახლობლად და მრევლნი ვერ უშენებენ. აბა რა ქნას მრევლმა თუ ქანქარი გამოლეულია და რომც ჰქონდეს რა მოვ..ლეა მღვდელს სახლი უშენოს.

ჭინათის მასწავლებელსაც თუ გააფრთხილებ ძლიერ დაგიმადლებთ. ნუ გაერევა ,,მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში, თორემ ხომ იცი ხიფათი ერთბაშათ მოხდება ხოლმე. ოთხშაბათ-პარასკევსაც თუ წმინდათ შეინახავს ამისთვისაც წარჩინებას მიიღებს უმაღლესი მთავრობისგან· შენი ,,სპერმაკუდინი'' თუ შეიძლება მარხვაში იხმაროს ერთი ნახევარი ბოთლი გამოუგზავნე თუ ძმა ხარ.

ხათაბალა.

**ბელაგორიდან.** ძმაო ეშმაკო! როგორც ამბობენ ,,ნიშადურის'' რედაქციაში ძლიერ ლითიჯანა ბიჭები არიანო, მაგრამ ღმერთი რჯული ისეთებს ვერც იქ ნახავ, როგორიც ჩვენს ბელაგორს ასხია. წარმოიდგინე სახალხო მასწავლებელთა შორისაც უმაღლეს წერტილამდის არის მისული ესე დარგი მოღვაწეობისა. არც ერთ ნათვლას, არც ერთ ქორწილს არ აკლდებიან და გარეშე კრებაზე სიმინდი რომ დაუყარო ვერ მიიტყუოვ. კავშირის დაარსება ხომ აინუნშიაც არ მოსდით!

კარგს იზამ ერთს რომ ჩამოირბენდე და შენი მათრახის კუდით ამ გონებრივი ძილიდან გამოაფხიზლებ მათ. შეგეზარება, თორემ ყვირილაშიაც უნდა მასწავლებელ სიმონ ორჯონიკიძეს მათრახის კუდით ტვინის შეხიცინება; თუ არ მოუხდება ხომ არაფერს წაუხდენს?!

რაიცა შეეხება ჩვენი სადგურის უფროსის თანაშემწე თევზაძეს სულით და გულით მთხოვნელია შენი ,,სპერმაკუდინისა'' და თუ გაქვს ერთი მონამჩნო ჭიქა, ნუ ჩადგები ცოდვაში და გამოუგზავნე.

ჩი..ი.

**დვაბზუიდან** (მიბაძვა).

ორშაბათ დილა გათენდა,  
რა კარგი დარი დგებაო.  
ეს ჩვენი ტურფა ირაკლი  
სამგზავროთ ემზადებაო.  
ოზურგეთისკენ გასწია,  
იქ საქმე ეგულებაო,  
დუქანში ,,პოვრათ'' დამდგარა  
ცნობებსა ეკრიბებაო.  
თუ ვინმე უცხო შეხვდება  
სახელ-გვარს ეკითხებაო.  
თუ კრამოლნიკი გამოდგა,  
,,მასიკოს'' მოხსენდებაო.

---

*) უსაფუძვლო იმედია. ეშმაკი.

თავზე ,,სტრაქები'' დაესხმის
ციხეში წაბრძანდებაო.
მერე იქიდან გამოსვლა,
სავაჭროთ შეიქნებაო:
ვინც ხუთმეტ თუმანს იშოვის
კარები გაეხსნებაო.

ეწრიელი.

**ხონი.** ხონის ,,თავფეხისტებსა'', ძმაო ეშმაკო, ძლიერ მოუხდება ერთი ზურგის აცხუნება. როცა საქმე თავ-ფეხ-დრამაზე მიდგება ერთმანეთს ასწრობენ, ხოლო როცა გადამდებ სენით ვინმე გარდაიცვლება სათოფეზე არ მიუდგებიან, განსაკუთრებით დამპატივე მღ. კ. ქ—ძე და მთ. დიაკ. სეფ. ჩხენკელი. თითონ მიხვდებიან რისთვის ვცემთ პატივს.

რაიცა შეეხება ხონელ ვაჭრებს ერთი შვიდი ვედრა სპერმაკუდინი გამომიგზავნე თუ ხათრი გაქვს, რადგან მათი გულ უხვი შემოწირულებისა გამო ლამის დაინგრეს ადგილობრივი თეატრის კედლები.

რაღათ გვინდა თეატრი
და მასში თაყხედობა;
რას გვარგებს წიგნის კითხვა
რას მიქვია ერთობა?
ჩვენ გვსურს მხოლოდ ქეიფი.
და ლოთური ღრიალი,
ხოლო გასართობადა
კამათლების ტრიალი.

გუჯუ.

**ლანჩხუთიდან.**

ეშმაკო? მითხრეს შენზედა
გულთამხილავი არისო,
მარჩიელობაც გჭვევია
ერთობ მრავალი გვარისო.
მაშ სცადე, კარგად დაფიქრდი
შემოიკრიფე გონება
და გვარქვი: ვის აქვს ლანჩხუთის
ბიბლიოთეკის ქონება.

შხანკოლა.



## დ ე პ ე შ ე ბ ი.

**სამტრედია.** ამბობენ დათიკოს თავისა აფთიაქი ბოქაულის კანცელარიაში გადააქვსო.

ჩვენს დაბას კვალად მოევლინა ერთი ,,მცველი'' ანგელოზი ბ-ნი ხუნდაძე, რომელიც, გაგიჟებით შეუყვარდათ სამტრედიის მცხოვრებლებს.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთის ფოსტის უფროსმა ოდესის გენ. გუბერნატორისაგან მადლობის დეპეშა მიიღო მიქიაშვილის გამოსათხოვარი სადილის გამართვისათვის, მაგრამ მიუხედავათ იმისა, ბ-ნი სარქისი მაინც ცუდ გუნებაზეა და გთხოვთ გამოუგზავნოთ საჭირო პორცია ,,სპერმაკუდინისა'' დეპეშით

**ჯურუყვეთი** როგორც გავიგეთ გიგინეიშვილებისა და ჭყონიების შეერთებულ კრებას გადაუწყვეტია პროტესტი გამოუცხადონ ლანჩხუთის ყოფილ ბოქაულს მიქიევს მათი თავმჯდომარის და საყვარელი სირია გიგინეიშვილის წაყვანისათვის



## ,,სპერმაკუდინის'' ,,ზაკაზები''.

**ჯიხაიში.** თუ არ გაგვიწყრებით რაცდენ ვაშაკიძისათვის კვლავ მოგვაწოდეთ 49 წვეთი „კუდინი", ვინაიდან სასტრაჟნიკო ჯანზე ვერ მოვიდა. ამ პორციის შემდეგ წარვუ გენთ ბ-ნ ანტონ მხეიძეს.

**იქიდანვე.** ანდრია სალარიშვილი, ალექსი ხარაბაძე და ენუქი ხარაბაძე დიდის მოკრძალებით გთხოვენ ბ-ნო ეშმაკო მოუვლინო მათ თითო „ყლაპი" თქვენი სპერმაკუდინისა, მაგრამ გახსოვდეთ ამათი საყლაპავი კარგა მოზრდილია. ვიდრე გამოუგზავნიდე და მიიღებდენ დილიდან სალამომდე სტეფანე თათარის დუქანზე ისხდებიან და გამოსარჩენი! თაობაზე იღიქრებენ.

**იქიდანვე.** იასონ დარსაველიძე მთხოვნელია ერთი ყანწი „სპერმაკუდინით" უთხრათ ალავერდი და შემდეგ მიიმალოთ, თორემ მოხერხებული კაცია და...

**ჭაგანი** თუ შეგიძლიათ შეამზადოთ კუდინი გონებრივი სიბეცის წინაალმდეგ, მოართვით ლევან ქაჯაიას ერთი ვირვანქა, რომ გლეხების მოთხოვნები არა მარტო თვალით, აზრითაც გაითვალისწინოს.

**კულაში.** კასიონ და კონსტანტინე მიქელაძეებს სჭირიათ ჯანზე მოსაყვანი დოზა „კუდინ სა", რომ უფრო ენერ-

გიულათ შეერძლონ გლეხებს და ძველი წესები სავსებით აღადგინონ.

**მუხაურუა.** თეთრე ჩაჩავას, ფარული „გამოსარჩენის“ მწარმოებელს გთხოვთ წარმოუგზავნოთ 45 წვეთი სპერმაკუდინი ფაე დადებით, ხოლო „ცხოვრების“ ასპარეზზე ახლად გამოსულ ივლიანე ნიკოლეიშვილს კყ 25 წვეთი.

**ეწერი** ადგილობრივი მღვდლები გთხოვენ დრამის ფულში აღებული ქვაბები მიიღოთ და სამაგიეროდ გამოუგზავნოთ ამავე ფასის სპერმაკუდინი.

ალაგეთური.



## ხონის ქალთა გიმნაზიის ცხოვრებიდან.

(გაკვეთილი ექიმ მათე ბახტაძისა).

(დარეკის შემდეგ „ბარიშნები“ თავიანთ ადგილებზე დასხდებიან და მასწავლებელს ელოდებიან, ცოტა ხნის შემდეგ მოისმის მძიმეთ ფეხის ბიჯება და თან ხველა. კიდევ ცოტა ხანი. . და კარებში გამოჩნდება სხვილ სხვილი მომაღლო ვაჟკაცი, რომელსაც თავის დიდრონი ფეხები თითქოს გარიდან ამოკაუჭებული აქვს, ისე, როგორც ცნობილ ოთხფეხს მიხეილ პოტაპისძეს... ეს „ფიგურა“ გახლავთ ექიმი მათე ბახტაძე, მას რაღაც იდლიით მოაქვს, ცალ ხელს მუცელზე იჭირებს. მასწავლებლის შემოსვლა „ბარიშნებს“ ღიმილს გვრის, მათე კი მძიმეთ ან როგორც იმერლები იტყვიან ბლაცი-ბლუციტა და ჩლაგი-ჩლუგით უახლოვდება კათედრას. ის რაღაც უხერხულ მდგომარეობაშია: ცმაცურობს, ჯაგლაგობს... როგორც იქნება, დაჯდება ვენის სკამზე, მარა სწორათ მაინც ვერ ჩერდება და სულ ხელებს ეყრდნობა; ხელები კი სწორეთ იმ ადგილას აქვს წინიდგან სკამზე დაბჯენილი, საიდანაც ფეხები იწყება .. „ბარიშნებს“ აწითლებს ასეთი ჯდომა... მარა... გაკვეთილი იწყება).

**მასწავლ.** (დიდის ხნის ფიქრის შემდეგ) ჰმ... რა გაკვეთილია?

**ერთი „ბარიშნა“.** ანატომია ბატონო...

**მასწავ.** ო, მართლა! მაშ რა უნდა გვქონდეს, მე კიდეც გადამავიწყდა.

(მოსწავლეები ხელს აიშვერენ და წამდაუწუმ ისმის: ია... ია... ია ბუდუ ოტვეჩატ!)

**მასწავლ.** დაწყნარდით ძღაბებო... უკაცრავათ გოგოებო *), არა კიდევ უკაცრავათ „ბარიშნებო“. აბა ვინ მეტყვის .. ჰმმ... (ფიქრობს) სად აბია კაცს თავი?

**მეორე „ბარიშნა“.** თავი ბატონო აქანე აბია კაცს (უჩვენებს).

**მასწავ** ძალიან კარგი. ახლა მითხარით... სად აბია კაცს... (ფიქრობს) ფრჩხილი?

**მესამე „ბარიშნა“.** აი აქანე მუსიო კავალერ, პარდონ... უკაცრავათ ბატონო...

(ჩუმი სიცილია).

**მასწავ.** ძალიან კარგი, დაბრძანდით. აბა ახლა მითხარით... არა (შუბლზე ხელს მიიდებს, ყველას გონია რაღაც ძნელ კითხვას დასვამს მასწავლებელი და ელოდებიან) უკაცრავათ. . ამიწერეთ კაცის ენა...

**მეოთხე „ბარიშნა“.** ენა აქვს კაცს პირში. ზოგ კაცს ენა გრძელი აქვს, ზოგს მოკლე..

**მასწავ.** მოითმინეთ ბოშო ვინოვატ... ბარიშნა. მარტო კაცს აქვს გრძელი?

**მეოთხე „ბარიშნა“.** ნიკაკ ნეტ. . ქალსაც ბატონო ..

**მასწავ.** ოო, განაგრძე...

**მეოთხე „ბარიშნა“.** მდა... იმას ვამბობდი, ზოგიერთ კაცს ენა გრძელი აქვს, ზოგს მოკლე, ზოგს განიერი, ზოგს ვიწრო... ზოგს წითელი, ზოგს თეთრი...

**მასწავ.** ოო, თეთრი, თეთრი... როდის თუ იცით („ბარიშნები“ ფიქრობენ, ზოგი ენაზე იხედება) სიცხის დროს. . სიცხე არ გქონიან. . აა, რო გახურდება კაცი...

**მეოთხე „ბარიშნა“.** კი ბატონო, როგორ არა?..

**მასწავ.** დაჯექით, მშვენიერათ დაგისწავლიათ გაკვეთილი. აბა ახლა მიბრძანეთ... ჰმ. . რამდენი წლის იბადება კაცი... უკაცრავათ.. რამდენი წლის კვდება მეთქი?

**მეხუთე „ბარიშ.“** 40 წლის.

**მეექვსე „ბარიშ.“** 60 წლის.

**მასწავ.** კარგი, კარგი, დაჯექით. აბა ახლა ყური დამიგდეთ და ახალ გაკვეთილს აუხსნი. (დიდის ხნის ფიქრის შემდეგ იწყებს ლაპარაკს, მარა ვაი მის გაგონებას: სიტყვა სიტყვას არ ებმევა, აზრი აზრს) კაცს ტვინი... ტვინი თავში აქვს.. დიახ, თავში.. თავი აქანე აბია (აჩვენებს). თავზე კაცს ბალანი აქვს... ტვინი სხვადასხვანაირია: უტვინო და ნიჭიანი. ნიჭიანია ის კაცი, რომელსაც ტვინი აქ ს. ტვინში კაცს ნერვები აქვს... ნერვებით კაცი ფიქრობს .. არა გრძნობს. კაცს ხუთი გრძნობა აქვს, ხო იცით? კაცს ტვინი კიდო ზურგში აქვს... არა... იმაში (ფიქრობს) რა ქვია ის ოხერი... ძვალში, ძვალში.. ძვალი ხო იცით რას ქვია? ცხენის ძვალი ხო გინახავთ? აი ისაა. ოო, იმას ვამბობდი. ტვინი.. ტვინი დიდი საჭიროა კაცისათვის. . კაცს რო ტვინი არ ქონდეს ბატს დაუ-

*) გოგო ქვემო იმერეთში სათაკილოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახებენ. ბატს იმიტომ ქვია ბატი, რომ ტვინი არა აქვს. არ გიჭამიათ ბატის ხორცი? სულ უტვინოა... მართალი გითხრათ გემრიელიც კია (,,ბარიშნებს'' ნერწყვი ადგებათ და ტუჩებს აწლაკუნებენ). ამნაირათ ტვინი დიდი საჭიროა კაცისათვის, კაცი ტვინით დადის, არა.. მოქმედებს. მარა იქნება თქვენ არც კი იცით ტვინი რას ქვია.. აი ხარის თავიდან რო ამეიღებენ, ხო გიჭამიათ? აი ის არის... (ამ დროს ევანე შარაშიძე ზარის რაწკუნით მოადგება კარებს და მისებურათ შაქარივით ეტყვის ექიმს: გამობრძანდით, გეყოფათ, თავს ნუ დეიღალავთ. მათეც ბლაცი-ბლუცით გადის. ,,ბარიშნები'' რაღაც ცუდ გუნებაზე გრძნობენ თავს).

ვ. მალაქიაშვილი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ვსთხოვ პატივცემულ „ეშმაკის მათრახის'' რედაქციას დამიმოწმოს, რომ სამტრედიიდან მოწერილი კორესპოდენციები მე არ მეკუთვნის.

სამტრედიის ორკლ. სასწავლებლის მასწავლებელი ალექ. სტურუა.

რედ. არ ეკუთვნის.

—

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ ,,ცისკარის'' გაზეთის ფურცელზედ. ,,ეშმაკის მათრახის'' გაზეთში № 9 ნუმერშიდ მოთავსებულია ბატონ ოტსტავნოის ლექსი ლაილაში. სხვათა შორის ამ ლექსში ოტსტავნოი მეხება მე ნიკო ვაჭარს და ლაპარაკობს შემდეგს: იქვე ნახავთ ნიკო ვაჭარს, რეაქციას რომ სვამს ყანწით და ხელობას თუ არ შესცვლის მიაყოლეთ და მიარტყით,, ავი ზნის არის, ნიკო ვაჭარი გაზეთებსა მტრობს ის ნამეტნაკათ და სხვა და ბოლოს ეგეც წერია, მე ვითომ სიტყვის მიმტან-მომტანი ვიყო. ყველა ამ ცილის წამებისთვის ბატონ ოტსტავნოის ვიწვევ სამედიატორო სამართალშიდ, რომ დამიმტკიცოს თავის ბრალდება.

წინააღმდეგ შემთხვევაშიდ ვალდებულათ ვთვლით რედაქციას, გამოაცხადოს, რომ ის შეცდომაშიდ შეიყვანა აღნიშნულმა კორესპონდენტმა.

ნიკო ჯანოევი.

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**ბაქო.** ხალს. ძლიერ სამწუხაროა თუ მოვაკრე სიმონ ნიკურაძე გარეშე არშიყობის გამო ცოლ-შვილს ღვთის ანაბარა ტოვებს, მაგრამ რედაქციას არ შეუძლია თქვენი წერილი დაბეჭდოს ამის შესახებ, ვინაიდან ეს ოჯახური საქმეა.

**თფილისი.** პართენ მურუსიძეს. აპირებული კაცი ყოფილხართ რაჭველ „წმინდა გიორგის“ მადლმა! გადავსინჯეთ მე-15 ნომერში ამხ. ნ ა ც ნ ო ბ ი ს წერილი და იქ თქვენი გვარი სულაც არ არის ნახსენები, არა თუ სახელი. შეიძლება თქვენ იმ 115 სადმელელის მაგივრათ „გაკუჭდით“, რომლებსაც „პრიგოვორზე“ უწერიათ ხელი, მაგრამ თქვენი გაუგებრობა „ნაცნობის“ დანაშაულათ ხომ არ ჩაითვლება? ტყვილათ გაისარჯეთ და ჩვენც გაგვსარჯეთ. მშვიდობით!

**ბათუმი.** ბზიკს. ბათუმში ჩვენ უკვე გვყავს კორესპოდენტები და რომ უნებლიეთ შეცდომაში არ შევიდეთ, უცნობი პირების წერილებს ვერ ვბეჭდავთ.

**ფოთი.** კოწია ნიკობურგელს. ყველა მეჩექმეშ იცის ცოტაოდენი ტყუილი, მაგრამ ეს რა სამათრახო ამბავია?

**შორაპანი.** გ. უიშვილს. თქვენი წერილი ვერ გავარჩიეთ.

**ხაშური.** მუშათაგანს. წერილზე სახელი და გვარი მაინც მოაწერეთ, რომ რედაქციამ იცოდეს ვინა ხართ.

**ბათუმი.** პინკას ფოსტებში ყველგან ვგრეა არა თუ მარტო ბათუმში. ორ-კაპეიკიანი მარკის ყიდვა რომ გინდოდეს საათ ნახევარს გაცდევინებენ, მაგრამ ეს რა გასაკვირია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვავალებთ ბათუმელ ბლიკვაძეს გაწქიქება უქნას ბათუმის საფოსტო კანტორას.

**ზესტაფონი.** აოას. თუ ვაჭარმა ალმასხან ბეჟიაშვილმა საქონელი ქაღალდში არ გაგიხვიათ, მეორეთ ნუღარ იყიდით მისგან. ბოიკოტში მეც დაგეხმარებით, ხოლო ასეთი წვრილმანი საქმე მათრახის მოქნევათ არც კი ღირს და თუ ღირს ისიც თქვენდა მიმართ.

**ოზურგეთი.** კოიეს. თქვენი წისქვილის გარიგების ამბავიც ისეთი ჩიორა ამბავია, რომ ერთი წვეთი სპერმაკუდინი გერგებათ გონორარათ.

**საჯავახო.** შურდულს. აპირებულია თქვენი საქმე: „მგლის თავზე სახარების კითხვა“ ეშმაკის საქმე არ არის და გვიკვირს რატომ გეუცხოვათ, როცა საჯავახელი სტრაჟნიკების გაზეთისადმი მიდრეკილებას ლენინისადმი მიდრეკილება ურჩევნია. „პო მენშეი მერე სტრანნნო“.

**ოზურგეთი.** გიორგი ჩხაიძეს. მოახსენეთ კოსტას და მაშოს რომ იმათ შესახებ მოწერილი ამბავი კარტის თამაშის შესახებ თქვენ არ გეკუთვნისთ.

**ოზურგეთი.** ეკალს. სამწუხაროთ, თქვენი ლექსები ოთხივე ფეხებზე კოჭლობენ.

**ქუთაისურს.** თქვენი თქმულება: „არიქა ბიჭო ესია, ულენტები შემოჯვესიაო“ მართლაც რომ ძველი თქმულებაა. რაიცა შეეხება დანარჩენ წერილს არ იბეჭდება, ვინაიდან ჩვენ სხვა წერილიც მივიღეთ შარაშიძის ქალის მოტაცებისა და 600 მანეთის „გამოსარჩენის“ განაწილების შესახებ. თქვენი სიტყვით სარდიონს, აბესალომს და მაქსიმეს მღვდ. მგალობლიშვილისას ჩხუბი 100 მანეთის გაყოფაზე მოუვიდათ, რაიც სხვა წყაროების მიხედვით „არა მართალია“ მეორე კორესპოდენტი გვწერს ასი მანეთის გამოსარჩენი ვიდრე გაყოფებოდა გაყვეს სამათ და თითოს 33 მან. 33 კაპ. შეხვდათ, ხოლო ჩხუბი დარჩენილმა ერთმა კაპეიკმა გამოიწვია, ვინაიდან იმისი გაყოფა ვერ მოახერხესო.

ესე განმარტება ჭკუასთან (რასაკვირველია ჯღანების) უფრო ახლოა.

---

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ბოლქვაძე.**



„ფარელების“ პროცესია ქუთაისში.

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

# „ეშმაკის მათრახი“

გამოდის კვირაში ერთხელ.

ჟურნალი ღირს ერთი წლით—5 მანეთი ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

ვინც 1908 წლისათვის გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს გამოუგზავნის რედაქციას, გასული წლის „ეშმაკის მათრახის“ ყველა ნომრები უფასოთ გაეგზავნება.

ხელის მომწერლებს ფული შეუძლია გამოგზავნოს პირდაპირ რედაქციაში: Тифлисъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матрахи“, Т. Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პროსპ. № 65